ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 517

19 ნოემბერი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის II შესახვევი №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.10.020.170.01.01.050) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მზის შვილებისათვის" (ს/კ. 401958388) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის II შესახვევი №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.10.020.170.01.01.050) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მზის შვილებისთვის" (ს/კ. 401958388) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 ნოემბრის №21.1517.1698 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის II შესახვევი №1-ში, ბინა №50, მე-12 სართულზე არსებული 383.10 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.020.170.01.01.050) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მზის შვილებისთვის" (ს/კ. 401958388) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე, არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ახვლედიანი